

ქართული გალობა
ანთოლოგია

Georgian Chant
Anthology

XVIII



საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრი
The Folklore State Centre of Georgia
ფონდი ქართული გალობა
Georgian Chanting Foundation

ქართული გალობა
ანთოლოგია
ტომი XVIII

დასავლეთ საქართველოს სამგალობლო ტრადიცია
იოანე ოქროპირის წირვის საგალობლები
(„გამშვენებული“ სტილი)

Georgian Chant
Anthology
Volume 18

The Chant Tradition of Western Georgia
Chants for the Liturgy of St. John Chrysostom
(Ornamented Style)

თბილისი
Tbilisi
2021





ანთოლოგიის XVIII—XXI ტომებში სრული სახით პირველად ქვეყნდება ექვთიმე კერესელიძის ხელნაწერი Q674 (დაცულია კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში). ეს კრებული წირვის ქართული საგალობლების ხელნაწერთა შორის ყველაზე მსხვილტანიანი და მოცულობითია. მასში მოცემულია ფილიმონ ქორიძისა და ექვთიმე კერესელიძის მიერ ნოტირებული იოანე ოქროპირის, ბასილი დიდისა და პირველშენიშნულის ლიტურგიების, ხელთდასხმისა და ქორწინების, წირვის სადღესასწაულო, დიდი მარხვისა და მიცვალებულთა მსახურებათა საგალობლები — როგორც რთული, „გამშვენებული“, ისე მარტივი ვარიანტები. საგალობელთა დიდი რაოდენობის გამო, ხელნაწერი Q674 ოთხ (XVIII—XXI) ტომად იბეჭდება. წინამდებარე ტომში წარმოდგენილია იოანე ოქროპირის სამღვდელთმთავრო ლიტურგიის „გამშვენებული“ ჰიმნები.

Ekvtime Kereselidze's manuscript Q674 (kept at the K. Kekelidze National Center of Manuscripts) is being fully published for the first time in Volumes 18-21 of the anthology. This collection is the thickest and most voluminous out of all the Georgian chant manuscripts for the liturgy. In this collection are chants for the Liturgy of St. John Chrysostom, the Liturgy of Basil the Great, the Liturgy of the Presanctified Gifts, the rites for the consecration of a priest and for marriage, feast day and Lenten chants for the liturgy, and chants for the funeral service notated by Philimon Koridze and Ekvtime Kereselidze - complex, ornamented variants, as well as simple ones. Due to the large number of chants, manuscript Q674 is being printed in four (18-21) volumes. Ornamented hymns for the hierarchical liturgy of John Chrysostom are shown in the present volume.

იდვის ავტორი და პროექტის ხელმძღვანელი: სვიმონ (ჯიქი) ჯანგულაშვილი
Author and project leader: Svimon (Jiki) Jangulashvili

XVIII ტომის შემდგენლები და მუსიკალური რედაქტორები: ლევან ვეშაპიძე, სვიმონ (ჯიქი) ჯანგულაშვილი
Compilers and musical editors of Volume 18: Levan Veshapidze, Svimon (Jiki) Jangulashvili

შესავალი წერილისა და კომენტარების ავტორი: სვიმონ (ჯიქი) ჯანგულაშვილი
Author of introduction and comments: Svimon (Jiki) Jangulashvili

რედაქტორი: რუსუდან წურწუმია
Editors: Rusudan Tsurtsumia

მთარგმნელი: ერიკ ჰალვორსონი
Translator: Eirik Halvorson

გამოცემაზე მუშაობდნენ: გიორგი აბრამიშვილი, ნინო რაზმაძე, ელიზბარ ხაჩიძე
The publication was prepared by: Giorgi Abramishvili, Nino Razmadze, Elizbar Khachidze

კონსულტანტები: ქეთევან გვაზავა, არქიდიაკონი დემეტრე დავითაშვილი
Consultants: Ketevan Gvazava, Archdeacon Demetre Davitashvili

კომპიუტერული უზრუნველყოფა: ლევან ვეშაპიძე, გიორგი აბრამიშვილი, სვიმონ (ჯიქი) ჯანგულაშვილი
Computer services: Levan Veshapidze, Giorgi Abramishvili, Svimon (Jiki) Jangulashvili,

დიზაინერი: ნიკოლოზ გოგაშვილი
Designer: Nikoloz Gogashvili

პროექტის კოორდინატორი: ნინო რაზმაძე
Project coordinator: Nino Razmadze

© საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრი
Folklore State Centre of Georgia

© ფონდი ქართული გალობა
Georgian Chanting Foundation

ISMN 979-0-802100-95-4 (ყველა ტომის)

ISMN 979-0-802101-68-5 (მეთვრამეტე ტომის)

ანთოლოგია ქართული გალობა
XVIII ტომი
დასავლეთ საქართველოს სამგალობლო ტრადიცია
იოანე ოქროპირის წირვის საგალობლები

*„მადლითა და შეწვენითა ღვთისათა;
დავასრულე წიგნიცა ესე, მრავლის წლიდგან
ყოველ-გვარად ნაზრუნევი და ნაღვანი...
და ან უძღვნი ჩემს საყვარელ სამშობლო
მართლ-მადიდებელ ეკკლესიას,
ერთა, ქალაქთა და მგალობელთა:
სადიდებელად ღვთისა. ამინ.
1891-1931 წელ.
ეეთიმე“.*

ხელნაწერ Q674-ის ბოლო ანდერძ-მინაწერი.

შესავალი
(XVIII—XXI ტომებისათვის)

ანთოლოგიის XVIII—XXI ტომებში იბეჭდება ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული წმიდა აღმსარებლის, იღუმენ ექვთიმე კერესელიძის სანოტო ხელნაწერი Q674. ამ ტომების გამოსვლით, მთავრდება ქართული გალობის სამი ყველაზე მოცულობითი ხელნაწერის — Q672-ის, Q673-ისა და Q674-ის გამოქვეყნება, რასაც ანთოლოგიის 10 (XII—XXI) ტომი დასჭირდა. ხელნაწერ Q674-ში 840 გვერდია. როგორც ხსენებულ ხელნაწერებს, Q674-საც, საგალობელთა დიდი რაოდენობის გამო, ოთხ ტომად ვბეჭდავთ. XVIII ტომში დაბეჭდილია იოანე ოქროპირის სამღვდელთმთავრო წირვის „გამშვენებული“ საგალობლები; XIX ტომში მოცემულია, იოანე ოქროპირის წირვის საგალობლები — მარტივი სტილებით — ე.წ. „ნამდვილი“ სტილისა და „საბავშვო სადა“ სტილის ნიმუშები და, ასევე, — ბასილი დიდის წირვისა და პირველშენიერულ მსხვერპლთა ლიტურგიის (წმინდა პაპის, გრიგოლ დიდის, დიალოგოსის ლიტურგიასაც რომ უწოდებენ ხოლმე) და ჟამების/„ჟამნობის“ ჰიმნები; XX ტომში წარმოდგენილია საუფლო და დიდ დღესასწაულთა წირვის საგალობლები, ხოლო XXI ტომში — „მომისხენენში“ ჩასართავი რვა ხმის დასდებლები, ჟამების საგალობლები, სხვადასხვა დღესასწაულის საწირვო ჰიმნები, „განიცადედ“ (სამღვდელოების ზიარების დროს) შესასრულებელი ჰიმნები, ასევე — პანაშვიდისა და მიცვალებულის „წესის აგების“ საგალობლები, მღვდლის კურთხევისა და ქორწინების ჰიმნები და ბოლოს — დიდი ხუთშაბათის „ფერხთა ბანვის“ წესის მუსიკა — დიაკვნის

რეჩიტატივი. როგორც ვხედავთ, ხელნაწერის ე. კერესელიძისეული სათაურის (იხ. ქვემოთ) მიუხედავად, Q674-ში წირვის გარდა, სხვა განგებათა საგალობლებიც უხვად გვხვდება.

XVIII ტომში დაბეჭდილია 183, XIX-ში — 150, XX-ში — 211, ხოლო XXI-ში — 138 ჰიმნი. ამ 682 საგალობლის დიდი ნაწილი პირველად ქვეყნდება.

ხელნაწერ Q674-ის ყდაზე სათაურია:

„ქართული გალობა
სამი წირვის წესი
ლიტურგია მღვდელთ-მთავართათვის და მღვდელთათვის
მთელი წლიური საწირვო საგალობლები
პარტიტურა
წიგნი 1-ლი
1900—1932 წ.
საკუთარი შრომა ილ. ექვთიმე“.

ხელნაწერის სატიტულო გვერდზე წმიდა მამა ექვთიმეს დაწერილი აქვს:

„მღვდელთ-მთავართათვის და მღვდელთათვის. სამი წირვის წესი:
თვისის სრული წლის ყოველ-გვარი დღესასწაულთა საგალობლებით“.

ამის შემდეგ ვრცელი სარჩევია და უშუალოდ სანოტო პარტიტურა — უხვად დართული მინაწერებით, ლიტურგიკული თუ მუსიკალურ-თეორიული ხასიათის მითითებებით („სადა“, „ნამდვილი“ და „გამშვენებული“ პოლიფონიური სტილების შესახებ) და შუა საუკუნეების გადამწერების ყაიდაზე შესრულებული სხვადასხვა „სამშვენისით“ — გეომეტრიული თუ მცენარეული ხასიათის მინიატიურებით.

როგორც წინამდებარე შესავლის ეპიგრაფად მოყვანილი მინაწერიდან ვხედავთ, წირვის საგალობელთა ამ მონუმენტურ ნაშრომზე, ჩვენი ერისა და ეკლესიის მიერ წმინდანად აღიარებული ექვთიმე 41 (1891—1932) წელი მუშაობდა.¹ ამის პარალელურად, ის მუშაობდა ორ დიდ ხელნაწერზე (Q672 და Q673). ჩვენ მიახლოებითაც კი ვერ წარმოვიდგენთ, რამხელა შრომა, ენერგია და ძალისხმევა დასჭირდებოდა წმინდა ექვთიმეს ამ ხელნაწერთა შესადგენად და გადასაწერად. ცნობილია, რომ წმინდა აღმსარებლისა და მგალობლის ტიტულით კანონიზებული ფილიმონ ქორიძის გარდაცვალებამდე, ექვთიმე მისი ხელმძღვანელობით მუშაობდა —

¹ ყდაზე და უშუალოდ პარტიტურის მინაწერებში სხვადასხვა თარიღის მითითება იმის ნიშანი უნდა იყოს, რომ სქელი, ტყავ-გადაკრული ყდა სხვა დროსაა დამზადებული, ხოლო ხელნაწერის სხვადასხვა ნაწილის გადწერა სხვადასხვა დროს მიმდინარეობდა და დამთავრდა. საბოლოოდ, 1932 წელს დამზადებულ ყდაში აიკინძა 1891-დან 1932 წლამდე დამუშავებული მასალა.

მან სისტემატიზაცია გაუკეთა ქორიძისეულ ხელნაწერებს Q672-ის, Q673-ისა და Q674-ის შედგენისას, ქორიძისა და საკუთარი ხელნაწერებიდან ამოკრიბა შესაბამისი საგალობლები, ქორიძის მიერ ჩაწერილ მთქმელის (I ხმის) მელოდიებს ტრადიციულ, ძველ-ქართულ სამგალობლო სტილში მიუწერა (თავად, ან სხვა მგალობლებს მიაწერინა) II—III ხმები...

უნდა აღინიშნოს, რომ მწუხრის, ცისკრისა და წირვის განგებებისადმი მიძღვნილი ხსენებული სამი დიდი ხელნაწერისა და მათ მასალად გამოყენებული მრავალი ხელნაწერის გადაწერა-რედაქტირების გარდა, ე. კერესელიძე, ასევე, პარალელურად მუშაობდა იმ განგებათა ხელნაწერებზეც, რომლებიც ამ სამ კრებულში არ შევიდა — დიდი მარხვისა და ვნების კვირის ჰიმნთა სრულ კრებულებზე, დიდ დღესასწაულთა აკოლუთიებზე და ა.შ. თანაც, საგალობელთა მრავალი ასეთი კორპუსი რამდენიმე ასლის სახითაა ჩვენამდე მოსული — ზოგი მათგანი ფ. ქორიძის, ზოგი კი — ე. კერესელიძის შესრულებულია.

ე. კერესელიძის ასეთი ტიტანური შრომა და განსაცვიფრებელი ღვაწლი, რომლითაც მან გადაარჩინა და სრულყო ფ. ქორიძისეული სამგალობლო მემკვიდრეობა, მხოლოდ თაყვანისცემას, აღტაცებასა და მადლიერებას იმსახურებს ყველა ქართველის, ყველა ქრისტიანისაგან, ყველა მუსიკოსისა და მუსიკის მოყვარულის თუ მკვლევარისაგან.

* * *

ხელნაწერ Q674-ში მოცემული ე. კერესელიძისეული მინაწერები თუ მითითება-აღნიშვნები უცვლელად გვაქვს გადმოტანილი XVIII—XXI ტომების სქოლიოებში. ცვლილება შეეხო მხოლოდ ტექსტების აღნიშვნაში მოცემულ სიტყვათა მოძველებულ თუ არასწორ ფორმებსა და დიალექტიზმებს (მაგ. „დინჟად“, „საშუალო მოძრაობით“, რომელთა ნაცვლად ჩვენ მივუთითეთ „დინჯად“, „საშუალო მოძრაობით“ და ა.შ.).

როგორც აღვნიშნეთ, Q674-ს სამი სხვადასხვა სათაური აქვს — ყდაზე, სარჩევთან და უშუალოდ სანოტო ტექსტის დასაწყისში. ამასთან, ამ უკანასკნელში წერია — „ლიტურგია მღვდელ-მთავართათვის და მღვდელთათვის; წირვის საგალობელნი, დაწერილი ნამდვილ კილოზედაც [მარტივი სტილით] და გამშვენებითაც“. სანოტო ტექსტში კი, ჯერ „გამშვენებული“ წირვაა მოცემული, მერე — „ნამდვილი კილოს [სტილის/ჰანგის]“ და ბოლოს — „სადა“ „საბავშვო“ სტილის. ხელნაწერის განყოფილებებსაც სარჩევში ზოგჯერ ოდნავ განსხვავებული სათაური აქვს (ფორმით და არა შინაარსობრივად), რასაც აღვნიშნავთ უშუალოდ პარტიტურაში, შიდა თავფურცელთა სქოლიოებში. ეს გარემოება ამყარებს თვალსაზრისს, რომ ხელნაწერი Q674 მრავალი წლის მანძილზე, ნაწილ-ნაწილ იწერებოდა.

Q674, (Q672-ისა და Q673-ის მსგავსად) ფ. ქორიძის სხვადასხვა ხელნაწერის კომპილაცია-სისტემატიზაციისა და შევსება-გამდიდრების პრინციპითაა შედგენილი ე. კერესელიძის მიერ. ამასთან, Q674-ზე მუშაობისას, მამა ექვთიმეს ძირითად წყაროდ გამოყენებული აქვს ფ. ქორიძის გამოცემული იოანე ოქროპირის წირვის (ქორიძე, 1895), ბასილი დიდისა და პირველ შეწირულის ლიტურგიათა და ხელთდასხმის ჰიმნთა კრებულები (ქორიძე, 1901), აღდგომის (ქორიძე, 1904), სადღესასწაულო (ქორიძე, 1911) და ნაწილობრივ — მიცვალებულთა საგალობლების პარტიტურა (ქორიძე, 1899).

ხსენებული კრებულებისაგან Q674-ის მთავარ განსხვავებას წარმოადგენს — ე. კერესელიძის მიერ, „გამშვენებული“ რეპერტუარის გვერდით, მათი მარტივი — „სადა“ ან „ნამდვილი“ სტილის იმავე-სახელიანი ჰიმნების შემოტანა. ამ პარალელურ ნიმუშთა წყალობით, მკაფიოდ ჩანს საგალობლის კომპონირების, ფორმადქმნადობისა და განვითარების საკომპოზიციო-პოლიფონიური ტექნიკა, რომლის არსიც არქეტიპულ ჰანგის (cantus-ის) და მასზე დაფუძნებული მრავალხმიანი „დედნის“ მელოდიურ-ფაქტურულ გარდაქმნასა და „დედანი“ ინვარიანტის ვარიანტულ-იმპროვიზაციულ სახეცვლილებაში მდგომარეობას — მარტივი, „სადა“ სტილიდან რთული, „გამშვენებული“ სტილისაკენ.

მთელ ხელნაწერში, ერთი ჰიმნის „სადა“ და „გამშვენებული“ ვარიანტების მოტანისას, ე. კერესელიძე არაერთგზის მსჯელობს ამ მუსიკალურ ტექნიკაზე. ამ თემას ეძღვნება ხელნაწერში შეტანილი „შთასახედიც“ (იხ. შესავლის შემდეგ). ე. კერესელიძის ცნობები და მსჯელობა აგრძელებს ფ. ქორიძისა და სხვათა ცნობებს ქართული გალობის პოლიფონიური სტილებისა და მათი ტრანსფორმაცია-განვითარების შესახებ და უმნიშვნელოვანეს წყაროს წარმოადგენს მუსიკოლოგიისა და ესთეტიკის ისტორიისათვის.

ზემოთქმულთან ერთად, უნდა აღინიშნოს, რომ გადაწერისას, კერესელიძეს გარკვეული ცვლილებები შეუტანია ქორიძის მიერ გამოცემული ზოგიერთი საგალობლის ხმათასვლაში (ან, შესაძლოა, იგი ამ საგალობელთა სხვა წყაროებს ეყრდნობოდა). წინამდებარე პუბლიკაციაში ყოველი ასეთი ადგილი აღნიშნული გვაქვს და, ხელნაწერისეულ ვერსიასთან ერთად, ნაჩვენები გვაქვს გამოცემულ ქორიძისეულ კრებულებში არსებული ხმათასვლის პირველადი ვარიანტებიც.

ამასთან, ქორიძისეული გამოცემებსა და მათგან ნაწარმოებ კერესელიძისეულ ხელნაწერში უშუალოდ წირვის ერთსახელიან საგალობელთა განსხვავებული ვარიანტების არსებობის შემთხვევაში, ჩვენ, XVIII—XIX ტომებში წარმოვადგენთ საგალობელთა ყველა ვარიანტს.

ორივენაირი შემთხვევის შესახებ ჩვენ პარტიტურის სქოლიოებში მივუთითებთ, თუ რომელ ქორიძისეულ პარტიტურას აღვნიშნავთ სიტყვით „გამოცემა“; მაგალითად — „გამოცემაში (ქორიძე, 1895:55) აქ...“ და ა.შ..

ასეა დაბეჭდილი XVIII—XXI ტომებში ქორიძის გამოცემებიდან მომდინარე ყველა საგალობელი, გარდა მიცვალებულთა განგების ჰიმნებისა.

* * *

Q674-ში მოცემულ და ქორიძის მიერ გამოცემულ (ქორიძე, 1899) მიცვალებულთა საგალობლებს შორის, შემდეგი სახის ურთიერთმიმართებაა: ე. კერესელიძე, ერთი მხრივ, ეყრდნობა ხსენებულ გამოცემას — საგალობელთა რეპერტუარი, ჰანგები და თანმიმდევრობა, ამ ორ წყაროსეულ მასალას, ძირითადად, იდენტური აქვს.

ამასთან, მეორე მხრივ, მიცვალებულთა ჰიმნების ე. კერესელიძისეული კრებული რიგი თავისებურებით საკმაოდ სხვაობს ქორიძისეული გამოცემისაგან: ამ უკანასკნელში მოცემული საგალობლების მელოდიები და პოლიფონიურ-ფაქტურული ქსოვილი გამარტივებულია და „სადა“ ან „ნამდვილი“ სტილის ესთეტიკითაა აწყობილი; რეპერტუარი გაზრდილია — მაგ. დამატებულია ციკლი „კრებულმან წმიდათამან“ და ზოგიერთი საგალობელიც „სადა“ და „გამშვენებული“ ნიმუშების სახითაა წარმოდგენილი.

ფ. ქორიძის მიერ გამოცემული მიცვალებულთა ჰიმნების კრებული „გამშვენებული“ სტილისაა. დღეისათვის კვლევის საგანია, რა წყაროს ეყრდნობიან ე. კერესელიძის მიერ Q674-ში მოცემული „სადა“ თუ „ნამდვილი“ სტილის მიცვალებულთა ჰიმნები — ისინიც ქორიძის მიერ იყვნენ ნოტირებულნი, რომელიმე მაგალობლისაგან ისწავლა და ჩაიწერა ისინი ე. კერესელიძემ, თუ, თავად გაამარტივა ქორიძისეული ნიმუშები სამგალობლო ტრადიციათა შესაბამისად. ასეა თუ ისე, ჩვენ წინაშეა ერთი განგების, ერთი სკოლის საგალობელთა განსხვავებული ნიმუშები, რაც ქართული მუსიკალური მემკვიდრეობის სიმდიდრეს კიდევ ერთხელ წარმოაჩენს.

რადგანაც მიცვალებულთა მსახურების მთელი რეპერტუარი განსხვავდება ქორიძისეულ გამოცემასა და კერესელიძისეულ ხელნაწერს შორის, ამ ჰიმნთა პუბლიკაციისას, ჩვენ აღარ აღვნიშნავთ ამ ორი წყაროს განსხვავებებს და არც პარალელური ნიმუშები მოგვყავს მსგავსება-განსხვავებათა წარმოჩენის მიზნით. დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ ერთმანეთს შეადარონ ანთოლოგიის I ტომში მოცემული ქორიძისეული და XXI ტომში მოცემული კერესელიძისეული მიცვალებულთა ჰიმნები.

* * *

Q674 (ისევე, როგორც Q672 და Q673) ე. კერესელიძის მიერ შექმნილია, როგორც ერთი განგების (Q674-ის შემთხვევაში — წირვის) კუთვნილი დასავლეთ საქართველოს სამგალობლო ტრადიციის საგალობელთა თავისებური ანთოლოგია. ეს ხელნაწერი, პრაქტიკულად წირვის საგალობელთა ყველაზე მდიდარი და მრავალფეროვანი კრებულისა. ამის მიუხედავად, ჩვენ მაინც საჭიროდ მივიჩნიეთ, მის წინამდებარე გამოცემაში (XVIII—XIX ტომებში) ზოგიერთი საგალობლის ჩამატება სხვა საწარმოებთან.



1. Q674-ში მოცემულ ბასილი დიდის ლიტურგიის საგალობლებს ჩვენ დავამატეთ დიდი ხუთშაბათისა და დიდი შაბათის წირვის რამდენიმე ისეთი საგალობელი, რომლებიც ტიპიკონის თანახმად, საჭიროა ამ განგებებში. მიუხედავად იმისა, რომ ისინი ნოტირებულია ფ. ქორიძის სხვა (დიდი მარხვის საგალობელთა) ხელნაწერებში, ე. კერესელიძეს ისინი Q674-ში არ შეუტანია ამ დღეებისა და განგებათა სხვა ჰიმნებთან ერთად. ასეთი საგალობელი სულ რამდენიმეა და მათ შესახებ ჩვენ უშუალოდ პარტიტურაში, სქოლიოებში გვაქვს აღნიშნული.

2. პირველშენიშნულ წირვის ჰიმნებს დავამატეთ ქორიძისეულ სხვა „განიცადეთა“ მუსიკაზე ჩვენ მიერ განყოფილი „განიცადე“ — „განიცადეთ და იხილეთ, რამეთუ ტკბილ არს უფალი“, — რომელიც, რატომღაც, ქორიძისა და კერესელიძის ხელნაწერებში საერთოდ არაა ნოტირებული.

3. XVIII ტომში შეტანილ Q674-სეულ სამღვდელთმთავრო წირვაში მოცემულია ევქარისტიის ჰიმნთა ყველა ის მელოდია (ბუნებრივია, II—III ხმებთან ერთად), რომლებიც „გამშვენებული“ სტილის დასავლურ ქართულ სამგალობლო ტრადიციას მიეკუთვნებიან და ფიქსირდებიან ამ ტრადიციის სხვადასხვა წყაროებში. „გამშვენებულ“ ევქარისტიულ საგალობელთა Q674-სეული კორპუსის მელოდიურ სისრულეს აკლდა მხოლოდ ხელნაწერებში წარმოდგენილი ორი ნიმუში:

პირველი მათგანი ფ. ქორიძის ხელნაწერ Q676-შია მოცემული. ეს ხელნაწერი ბევრ რამეში იმეორებს ქორიძის მიერ ნოტირებულ წირვის სხვა პარტიტურებს, მასში მოცემულ საგალობელთა მელოდიები ქორიძის „ლიტურგიის“ იდენტურია, გარდა ერთი ნიმუშისა — VIII ხმაზე განყოფილი ევქარისტიული ჰიმნისა „წმიდაო, წმიდაო, წმიდაო“. სწორედ ეს საგალობელი დავამატეთ XVIII ტომში და ვბეჭდავთ 129 ნომრად.

ევქარისტიის დასავლურ-ქართულ მელოდიათა კიდევ ერთი, განსხვავებული ნიმუში კი რ. ხუნდაძის ხელნაწერებშია მოცემული. ხუნდაძის ხელნაწერები ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრშია დაცული. ქორიძე-კერესელიძისეულ ხელნაწერთა ანთოლოგიაში პუბლიკაციის შემდეგ, ანთოლოგიაში ხუნდაძისეული მემკვიდრეობაც დაიბეჭდება.

ამასთან, ჩვენ თავს უფლება მივეცით და XVIII ტომში, ხუნდაძის ხელნაწერიდან (ფოლკ. ცენტრი, ხელნ. №2124:240, 248) „ჭრელი“, „გამშვენებული“ ევქარისტიული „წმიდა არს“ შევიტანეთ — 130 და 131 ნომრებად.

ამის მიზეზებია — Q674-ის ე. კერესელიძისეული კონცეფციის — ანთოლოგიის სახით თავმოყრა ამა თუ იმ განგების/მსახურების ყველა ჰიმნისა — გაგრძელება; ასევე, ზემოთ აღნიშნული, სრულყოფილი გადმოცემა დასავლეთ საქართველოს სამგალობლო ტრადიციის ყველა ევქარისტიული მელოდიისა; და აგრეთვე ისიც, რომ მელოდიური და ფაქტურული სტილით, აღნიშნული ხუნდაძისეული ჰიმნები განსხვავდება მის მიერ ნოტირებული სხვა, ძირითადად, „სადა“ საგალობლებისაგან და მეტად დიდ სიახლოვეს ამჟღავნებს ქორიძის მიერ ნოტირებულ „ჭრელ“ საგალობლებთან. ეს მსგავსება ვლინდება სახასიათო მელოდიური ფორმულების ხშირ გამოყენებასა (რომელიც გვხვდება ქორიძის მიერ ნოტირებულ „მღვდელთა ხარ ბრწყინვალე“-ში, „სამღვდელთმთავრო რომელნი ქერუბიმთაში“, „განიცადე“-„ალილო-არნივში“ და

სხვ.) და ფართო ჰარმონიულ ვერტიკალებზე დაფუძნებულ, რთულ და რამდენადმე „უცნაურ“ ფაქტურულ-პოლიფონიურ სტილში.

აქვე უნდა გავიხსენოთ, რომ სწორედ რ. ხუნდაძე იყო ერთ-ერთი ძირითადი გადმომცემი ფ. ქორიძის მიერ ნოტირებულ „წირვასა“ (ქორიძე, 1895) თუ Q674-ში მოცემული საგალობლებისა. ჩვენ ამადაც დასაშვებად მივიჩნიეთ დიდი მგალობლის, რ. ხუნდაძის მიერ შემონახული „ჭრელი“ საგალობლის შეტანა, სხვებთან ერთად, მისგანაც ჩაწერილ სხვა „გამშვენებულ“ ჰიმნთა კორპუსში.

სხვათა შორის, ჩვენ შესაძლებლად მიგვაჩნია, ხსენებული ხუნდაძისეული ჰიმნის დამუშავება-არაწყობა ქორიძის ხელნაწერებში შემონახული სამზე მეტ-ხმიანობის სტილში — „განიცადე“ „ალილო-არწივის“ მსგავსად, რომლის იდენტურ მელოდიურ საფუძველსაც ეყრდნობა ეს საგალობელი, როგორც აღვნიშნეთ. მსგავსი ექსპერიმენტისათვის ჩვენ წინამდებარე გამოცემაში არ მიგვიმართავს, თუმცა, ეს საგალობლები პირდაპირ იძლევა საშუალებას შუა საუკუნეების ამ დაკარგული პოლიფონიური ტრადიციის ჰიპოთეტური რესტავრაციისათვის.

* * *

ანთოლოგიის სხვა ტომების მსგავსად, XVIII—XXI ტომებშიც, ვბეჭდავთ ზოგიერთი საგალობლის როგორც ხელნაწერისეულ, ასევე, თანამედროვე საღვთისმსახურო მოთხოვნათა შესაბამისად ჩვენ მიერ რედაქტირებულ ვარიანტებსაც.

მაგალითად, აქ დავასახელებდით „მომიხსენენს“ („9 ნეტარებას“). ფ. ქორიძისა და ე. კერესელიძის მიერ ეს საგალობელი ყველა წყაროში ნოტირებულია დამატებული რეფრენული მუხლებით („მომიხსენენ ჩვენ, უფალო...“, „მომიხსენენ ჩვენ, მეუფეო...“, „მომიხსენენ ჩვენ, წმიდაო...“). დღევანდელ ღვთისმსახურებაში ამ დართული რეფრენული მუხლებით „მომიხსენენი“ დიდ მარხვაში, სადილის ჟამში იგალობება. ქორიძისეული „გამშვენებული“ „მომიხსენენის“ (იხ. №29 XVIII ტომში) შესახებ რ. ხუნდაძეც აღნიშნავს, რომ იგი დიდი მარხვისაა და სანაცვლოდ თავის „წირვაში“ გვთავაზობს „მომიხსენენს“ დამატებული მუხლების გარეშე (იხ. ანთ., V ტ., №12). სხვათა შორის, რ. ხუნდაძე არ აკონკრეტებს, ქორიძის მიერ ნოტირებული „მომიხსენენი“ დიდი მარხვის წირვებში იგალობება თუ სადილის ჟამში. დამატებული რეფრენული მუხლებითაა ნოტირებული ხელნაწერ Q674-ში „ნამდვილი“ სტილის „მომიხსენენიც“, ხოლო „სადა“ „საბავშვო“ სტილის „მომიხსენენში“ ეს რეფრენული მუხლები არა ყოველი „ნეტარების“ მუხლის შემდეგ, არამედ საგალობლის ბოლოსაა მოცემული. ფ. ქორიძისა და ე. კერესელიძის მიერ წირვის კრებულებში „მომიხსენენის“ ნოტირება ხსენებული მუხლებით (სხვადასხვა ნიმუშში გარკვეული განსხვავებით), თანაც, ყოველგვარი კომენტარის გარეშე, გვაძლევს საფუძველს, ვივარაუდოთ, რომ შესაძლოა, ძველად „მომიხსენენი“ სწორედაც რომ, ქორიძისა და კერესელიძის ხელნაწერებში მოცემული სახით, დღევანდლობისაგან განსხვავებულად იგალობებოდა. ასეა თუ ისე, ჩვენ წინამდებარე პუბლიკაციაში, აუთენტიკურ ვარიანტებთან ერთად, ვბეჭდავთ ჩვენ მიერ თანამედროვე ღვთისმსახურების შესაბამისად გადაამუშავებულ „მომიხსენენ“-ებსაც.

* * *

საგალობელთა პოეტური ტექსტების რედაქტირებისას, მივმართავდით თანამედროვე და ძველ საღვთისმსახურო წიგნებს — XVIII—XXI საუკუნეებში გამოცემულ „ზატიკს“, „პარაკლიტონს“, „სადღესასწაულოს“, „ჟამნს“, აგრეთვე, ნევმირებულ ძლისპირთა ძველ ქართულ ხელნაწერს A-603 (კიკნაძე, 1982).

ჰიმნთა პოეტური ტექსტების ნაკლები სიტყვები ან აშკარა შინაარსობრივ-ორთოგრაფიული თუ სინტაქსური შეცდომები გასწორებული გვაქვს ზემოაღნიშნული წყაროების მიხედვით. პოეტური ტექსტების სხვადასხვა წყაროში აღმოჩენილი განსხვავებები (მაგ., მორფოლოგიური) აღნიშნული არ გვაქვს, ვინაიდან ეს სცდება ანთოლოგიის მიზანსა და დანიშნულებას.

ზოგადად, საგალობელთა პოეტური ტექსტების რედაქტირებისას, ანთოლოგიის დანიშნულებიდან გამომდინარე, ჩვენ შევეცადეთ, არ წავსულიყავით ღრმა ტექსტოლოგიურ და ჰიმნოგრაფიის ისტორიის საკითხებში. მაგრამ, მუშაობისას ერთი რამ დანამდვილებით გამოიკვეთა — ნევმირებულ თუ სანოტო ხელნაწერებში ცხადად ჩანს, რომ საგალობელთა პოეტურ ტექსტებს გარკვეული ვარიანტულობა ახასიათებდა, რაც სხვადასხვა თარგმანისა და სკოლების არსებობასთან ერთად, ქართული კულტურისა და ხელოვნებისათვის დამახასიათებელ შემოქმედებით თავისუფლებასა და მრავალფეროვნებაზე მიგვიბრუნებს.

* * *

Q674-ში მოცემული საგალობლები, როგორც აღვნიშნეთ, სხვადასხვა პოლიფონიური სტილისანი არიან. ანთოლოგიის წინა ტომებში და, უფრო მეტად, სპეციალურ ლიტერატურაში საკმაო ინფორმაციაა „სადა“, „ნამდვილი“ და „გამშვენებული“ პოლიფონიური სტილების, აგრეთვე, საგალობლებში შემორჩენილი „სასწავლებელი ხმების [სასწავლო მრავალხმიანობის]“ (ჰეტეროფონიიდან პოლიფონიაში გარდამავალი არქაული სტილის) რელიქტების შესახებ, ამიტომ, ჩვენ მათ ირგვლივ მსჯელობას აქ აღარ გავაგრძელებთ. დავძენთ მხოლოდ ერთი, ტექნიკური საკითხის შესახებ: რადგანაც, Q674-ში ყველაზე ხშირად გვხვდება მსჯელობა საგალობლების მელოდიური და ფაქტურული სტილების შესახებ, შესაბამისად, აქ ყველაზე ხშირად გვხვდება ძველი ქართული (და არა მხოლოდ ქართული) თეორიისათვის დამახასიათებელი ტერმინთა პოლისემანტიკურობა — კერძოდ, ტერმინ „კილოს“ გამოყენება ხან მელოდიის (მათ შორის, *cantus firmus*-ის) და ხან ფაქტურული სტილის, მნიშვნელობით. ამ ტერმინის ასეთი მოძველებული პოლისემანტიკურობა ჩანს შესავლის შემდგომ დაბეჭდილ „შთასახედშიც“. ცხადია, რომ სამეცნიერო-თეორიულ ტერმინთა მსგავსი მოძველებული კონტექსტით გამოყენება თანამედროვე აკადემიური მეცნიერების აზროვნებისა და ტერმინოლოგიისათვის მიუღებელია და დრომორჭმული არქაიზმია და ამოსაღებია მუსიკოლოგიური ენიდან. ამიტომ, ყველგან, სადაც ტერმინი „კილო“ სხვადასხვა, თანამედროვე თეორიისაგან განსხვავებული მნიშვნელობით არის გამოყენებული, ჩვენ კვადრატულ ფრჩხილებში ვწერთ შესაბამის, ადექვატურ სიტყვას, რათა ცხადი გახდეს ე. კერესელიძის ნააზრევი.

პოეტური ტექსტისა თუ ლიტურგიკული მოთხროვნების გამო ორ ვარიანტად მოცემულ საგალობლებთან ერთად, XVIII—XXI ტომებში (ანთოლოგიის წინა ტომთა მსგავსად), ასევე, მოცემული გვაქვს ცალკეული საგალობლის ისეთი „პარალელური“ ვარიანტებიც, რომლებიც ერთმანეთისაგან ჩვენ მიერ განსხვავებულად დასმული ალტერაციის ნიშნებით და, შესაბამისად, ჰარმონიული ელფერიტა და კილოური მიხრილობით განსხვავდებიან.

როგორც ანთოლოგიის სხვა ტომებში, XVIII—XXI ტომებშიც ჩვენი სარედაქტორო ჩარევა შემოიფარგლება ალტერაციის ნიშანთა ცვლილებითა და აშკარა შეცდომების გასწორებით, რაღა თქმა უნდა, ყველგან შესაბამისი მითითებით კომენტარებში.

XVIII—XXI ტომებში, ექვთიმე კერესელიძის მინაწერებში (როგორც სქოლიოებში, ასევე, განყოფილებათა სათაურებში) შენარჩუნებული გვაქვს საგალობელთა ჟანრების, ჯგუფებისა თუ სახეობების ხელნაწერისეული დასახელებები.

Q674-ში მოცემულ ჰიმნთა ოთხ ტომად გადანაწილებისას, ჩვენ, ზოგიერთ შემთხვევაში, შევცვალეთ საგალობელთა ხელნაწერისეული თანმიმდევრობა — სანოტო პარტიტურების პრაქტიკული გამოყენების გაადვილების მიზნით. მაგალითად, ერთად მოვუყარეთ თავი ხელნაწერში სხვადასხვა ადგილზე ჩანერილ დიდი ხუთშაბათისა და დიდი შაბათის საგალობლებს, გადავადგილეთ ქორწინება-ხელთდასხმისა და მიცვალებულთა განგებების ჰიმნები და ერთ — XXI ტომში დავბეჭდეთ ისინი და ა.შ.. ყოველი ასეთი შემთხვევის შესახებ ჩვენ სქოლიოში გვაქვს მითითებული.

იქ, სადაც Q674-ში კვერქსში „შენ, უფალო“ და „ამინ“ ერთ მუხლადაა ჩანერილი და სიტყვები ორ სტრიქონშია მინერილი, XVIII—XXI ტომებში ეს მუხლები ცალ-ცალკე გვაქვს დაბეჭდილი.

ფრჩხილებში ჩასმული ყველა მუსიკალურ-გრაფიკული სიმბოლო (ნოტები, ალტერაციის ნიშნები, ცეზურების აღმნიშვნელი მძიმეები, ფერმატები...) ჩვენი ჩამატებულია და მათი შესრულება სავალდებულო არაა.

ზოგიერთი აგოგიკური და ექსპრესიული ნიუანსი ხელნაწერში ან მხოლოდ ქართულად, ან მხოლოდ იტალიურადაა ჩანერილი. ანთოლოგიის საერთაშორისო აუდიტორიისათვის გამიზნულობის გამო, წინამდებარე ტომში აგოგიკური და ექსპრესიული ნიუანსები ყველა შემთხვევაში ქართულად და იტალიურადაა წარმოდგენილი..

დედანში, უმრავლეს შემთხვევაში, დინამიკური ნიუანსები მხოლოდ | ხმასთანაა ჩანერილი. ჩვენ სამივე ხმაში აღვნიშნეთ ისინი.

დედნისეული ტექსტის ყველა სხვა ცვლილება შენიშვნებში გვაქვს ასახული.

ანთოლოგიის შესავალ წერილში (იხ. ანთოლოგიის I ტომი) მოცემული მითითებები ეხება ყველა და, მათ შორის, წინამდებარე ტომში დაბეჭდილ საგალობლებსაც.

ე. კერესელიძის „შთასახედი“ და მისი მუსიკალური ესთეტიკის ზოგიერთი მომენტის შესახებ

შთასახედი

ქართული გალობის წესი და კანონი არის, რომ ქართული გალობა უნდა ისწავლონ ჯერ ნამდვილ კილოზედ [ნამდვილი, პირველადი და მარტივი ჰანგით და ფაქტურით] მის მოსწავლეებმა და მერე თუ დაისაჭიროვა მისი გამშვენება [და მერე, თუ საჭირო გახდა, ისწავლონ და შეასრულონ „გამშვენებული“, ე.ი. მელოდიურ-ფაქტურულად და ჰარმონიულად გარდასახული, გართულებული და ინტენსიურად პოლიფონიზებული სტილით].

ყველა საგალობელს თავ-თავისი საკუთარი ბუნებითი კილო [ბუნებრივი, სანყისი მელოდია, cantus-ი] აქვს, და ეს კილო [ჰანგი], მისი საკუთარი ბუნებითი გზა არის; როცა მგალობელი ნამდვილ კილოზე [ნამდვილი, პირველადი მელოდიით] იტყვის საგალობელს, ის ადვილად იგალობებს, ადვილად და მარტივად გავა ბოლომდის, და ადვილადვე ისწავლება და ასწავლის, ხოლო შემდგომად სწავლისა, ეცოდინება ყველა მუხლების ხმის მიმოხვრანი, თუ როგორი და რა ნაირია, და თუ უნდა რომ იგალობოს კილოზე [მარტივ პირველად ჰანგზე] უფრო უმშვენიერესად [ორნამენტიზებული, მელიზმატიკური ჰანგით], მაშინ მგალობელი თავის სმენისა და ნიჭისამებრ შიგა და შიგ ზოგიერთ კილოს მუხლებიდგან ხმით გადავა [პირველადი ჰანგის ზოგიერთი მუხლისგან განსხვავებულ მელოდიურ სვლებს შეასრულებს] შესაფერად გალობისა და თავის ნიჭისამებრ შიგა და შიგ გაამშვენებს, გაავარდიშებს [პირველად ჰანგს გაამშვენებს ახალი მელოდიური, მოტივური თუ მიკრო-მოტივური ნაგებობებით] და შემდეგ ისევ შიგა და შიგვე კილოსსავე [პირველადი, მარტივი ჰანგის] კვალს დაადგება. ამ გვარად ყოველ ნიჭიერ კაცს კილოს მიხედვით [პირველად, მარტივ ჰანგზე დაყრდნობით] სხვა და სხვა ნაირად შეუძლია გაამშვენოს და გაავარდიშოს, ხოლო თუ კილო [პირველადი, მარტივი ჰანგი] არ იქმნა, მაშინ რაღა უნდა გაამშვენოს?! მაშასადამე კილო [პირველადი, მარტივი ჰანგი, cantus-ი] არის საფუძველი გალობისა, რომლის ხმის ძარღვზედ [მელოდიურ საფუძველზე] ყველა [შემბანებელი] ხმის მიმოხვრანი დამოკიდებულ არიან. ვინც გალობა კილოზედ [პირველადი, მარტივი მელოდიითა და სტილით] კარგად ისწავლა, ის მიხვდება თუ სად რა ნაირი ვარდიში და ხმის ტრიალი [ახალი მელოდიურ-მელიზმური ნაგებობა] გაეწყობა, ხოლო თუ კილო გალობისა [მარტივი, პირველადი სტილი] არ ისწავლე, არამედ ისწავლე მარტო ვარდიშით თქმა [მხოლოდ რთული, „გამშვენებული“, ინტენსიურად პოლიფონიზებული გალობა], ის ვერ მიხვდება და ვერც მიაგნებს თუ რანაირი კილოსი იყო [რომელი პირველადი ჰანგის, cantus-ის მქონე იყო] ის საგალობელი! ამიტომ საგალობელი ან მარტო კილოზე უნდა იგალობონ, ან შიგადაშიგ გამშვენებით [ან მხოლოდ მარტივი, პირველადი მელოდიითა და ფაქტურული სტილით უნდა იგალობონ, ან მხოლოდ ზოგიერთი ადგილის „გამშვენებით“]. ხოლო მარტო გამშვენება და გაავარდიშება მთელი საგალობელისა არ შეიძლება: ის იქნება უსაფუძვლო [არ გამოჩნდება მისი cantus-ი] და უარგისი, რადგან გადავარდება თავის წესიერის გზიდგან [cantus-იდან] და დაიკარგება

კილო [cantus-ი, პირველადი, მარტივი მელოდია], და კილოს დაკარგვა იგივე გალობის დაკარგვა არის. ამიტომ ამ ქვემოთ თქმულ ნოტებით საგალობელში დავსწერე კილოთი [მარტივი ჰანგებითა და ფაქტურით] და შიგადაშიგ ზოგიერთი მუხლები გამშვენებულ-გავარდიშებით [მელოდიურ-ფაქტურულად და ჰარმონიულად გარდასახული და გართულებული სტილით], და სადაც გამშვენებული მუხლია, იქვე იმავე ფარდება [ტაქტებსა] და ზომებში ორ ნაირად დავსწერეთ: კილოს [მარტივი, პირველადი cantus-ის] თქმას თავისი გზა მივეცი: ზემოთ ნოტის ხელების [შტილების] აწევით, და ვარდიშს ანუ გამშვენებას თავისი გზა: ნოტის ქვემოთ ხელების [შტილების] დაშვებით; ამ ნაირი წესით ერთი და იგივე საგალობელი ორ ნაირად შეიძლება იგალობოს, კილოთიც [მარტივი, პირველადი ჰანგით და სტილით] და ვარდიშ-გამშვენებითაც. ამ ნაირად დაწერილს საგალობელს ამ წიგნში ხშირად შეხვდებით.

როგორც ზემოდ ვსთქვი: კილოს [მარტივი, პირველადი მელოდიისა და სტილის მქონე] საგალობელს თავისი ბუნებითი გზა აქვს თავიდგან ბოლომდის, ხოლო გამშვენებას კი [სხვადასხვა შესრულებისას] ერთსა და იგივე მუხლში სხვადასხვა ნაირად ავარდიშებენ და ამის გამო გამშვენებას ერთი ნიადაგი არა აქვს. კილოს [პირველადი, მარტივი მელოდიის, არქეტიპული cantus-ის შემცველი და მარტივი ფაქტურის მქონე] საგალობელი უმაღლესად კანონიერად ცნობილი, მიღებული და დამტკიცებული არის ვიდრე ვარდიში [„კანონიერი“ ამ შემთხვევაში აბსოლუტური თეოლოგიური, ეკლესიოლოგიური და იურიდიული მნიშვნელობით არ უნდა გავიგოთ, თორემ გამოვა, რომ „გამშვენებული“ გალობა არაკანონიერი, არაკანონიკური და არალიტურგიკულია].

კილო [მარტივი] გალობის სწავლა თითქმის ყველა კაცს შეუძლია, ხოლო გავარდიშებულს [რთულს, პოლიფონიზებულს] კი ყველა ვერც იტყვის და ვერც ისწავლის.

ჩვენ [ქართველები] ძველ დროს: სასწავლებლებში ყოველთვის კილოს [მარტივი პირველადი ჰანგისა და ფაქტურის მქონე] გალობას ვასწავლიდით ხოლმე ზეპირ-მეტყველებით. აგრეთვე ყოველგან სამღვდელო და საღიაკვნიებს კილოზედ [მარტივი პირველადი ჰანგითა და ფაქტურით] ვასწავლიდით გალობას, კიდევ ეგზემენებს იჭერდენ [გამოცდას გადიოდნენ] და საღმრთო სამსახურში შედიოდნენ.

ამ გვარად ახლაც უეჭველი საჭიროდ შეიქმნა, მარტივი კილო [მარტივი ჰანგისა და ფაქტურის მქონე] გალობა, სადა, და გაუარდიშებელი: როგორც ცალფა პირველ ხმად სათქმელად მღვდელთა და დიაკონთათვის, ეგრეთ სამ ხმაზედ განყობილი მგალობელთა სათქმელად, ამიტომ დავსწერეთ ნოტებით მთელი სამი წირვის წესი სამ ხმაზე განყობით, თავის ყოველ სადღესასწაულო ტროპრებით და მეცხრე სძლისპირებით: მარტივ, სადა, ბუნებითი კილოზედ [მარტივი, სადა, ტრადიციული, იმანენტური მელოდიითა და ფაქტურით] და მივეცი ამ წიგნში საკუთარი ადგილი, რომლის შემდეგაც იხილეთ,

1898 წ. დამწერელი კილო [მარტივი, სადა] გალობისა პირველ ხმაზე იყო მაქსიმე რ. შარაძე და გადამცემელი მგალობელი კილო [მარტივი, სადა] გალობისა იყო სვიმონ მოლარიშვილი. ხოლო სამ ხმაზე გამწყობელი და დამწერელი მე და მღვდ. ივლიანე ნიკოლაძე.

მღვდ. მონზი. ევთიმე

როგორც ვიცით, მუსიკალური მასალის დეფინიცია „სადა“ და „გამშვენებულ/გავარჯიშებულ“ საგალობლებად მხოლოდ გელათის სკოლის სამგალობლო ტრადიციის ამსახველ სანოტო ჩანაწერებსა და წერილობით ცნობებში ხდება. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია წმიდა ექვთიმე აღმსარებელის (კერესელიძე) ხელნაწერები Q672, Q673 და Q674. ამ კრებულებში ჰიმნები სხვა მუსიკალურ თუ ლიტურგიკულ პარამეტრებთან ერთად დაყოფილია და სახელდებულია მუსიკალური ქსოვილის კონფიგურირების ამ ორი სტილის, ორი ტრადიციის მიხედვით. აქ საგალობლების შესახებ ხშირადაა აღნიშნული, „გამშვენებული“, „გავარდიშებული“ არიან ისინი, თუ „კილო“ [მარტივი სტილის], „წამდვილი კილო“-ს [წამდვილი, გავრცელებული სტილის] ან „სადა“ [ე. კერესელიძის თანახმად, ყველაზე მარტივი სტილის] ნიმუშები.

აღსანიშნავია, რომ წმიდა ექვთიმე თითქმის ყველგან „გავარჯიშება“, „ვარჯიში“-ს ნაცვლად წერს „გავარდიშება“-ს, „ვარდიში“-ს. სულხან-საბა „ვარჯიშს“ ასე ხსნის: „ვარჯიში თურქთა ენაა, ქართულად სეფური ჰქვიან“ (ორბელიანი, 1991:257). სეფური კი — „ესე არის, მრავალჯერ ქმნითა საქმე გაიადვილოს, რაიც ენების საქნელად, გინა სწავლად“ (ორბელიანი, 1993:85). XIX საუკუნეში, ნიკო ჩუბინაშვილს² „ვარჯისი“, „ვარჯიში“, „ვარჯისობა“ განმარტებული აქვს: „ხელოვნება, ზეპირება, твердить, упражняться.“ მასთანვე სიტყვათა შემდეგი განმარტებებია მოცემული: „სეფური — უკანონოდ უხმარიათ, ზეპირი და ზეპირობა უნდა“. „ზეპირ, ზეპირად — უნიგნოდ თქმა ანუ კითხვა ნაწერისა, наизусть; ზეპირად შეთულა ან დაბარება უწერილოდ, პირად შეთულა (ვეფხისტ. 407, 1314), словесно наказать, поручить сказать о чем (ვიეთთამე სეფურად დაუნერიათ, მაგრამ უკანონოა).“ „ზეპირება (ვაზეპირებ სხუათა, ვიზეპირებ) — წურთნა, დასწავლა, გავარჯისება უნიგნოდ თქმისა, учить, твердить наизусть.“. დავით ჩუბინაშვილი კი „ვარჯიშს“ ასე განმარტავს: „ვარჯისი, ვარჯიში გაზეპირება, ხელოვნობა, упражнение, повторение наизусть, რუსულდ. 874; диспутъ, ნ. ჩ. ლ. ნახე მაეგობა“.

ცხადია, რომ „ვარჯიში“, „სხვათა“ — თურქული ენიდან გვიან საუკუნეებში შემოსული სიტყვა, „გამშვენებული“ გალობის ზედწოდებადაც გვიან საუკუნეებშივე გადაიქცეოდა. ამას ისიც ადასტურებს, რომ არათუ მანამდელ წყაროებში, არამედ არც სულხან-საბასთან და არც ჩუბინაშვილებთან ეს სიტყვა გალობის კონტექსტში არსად მოიხსენება. ნათელია, რომ ეს სახელი „გამშვენებულ“ გალობას მისთვის ეწოდა, რომ

² ნიკო ჩუბინაშვილისა და დავით ჩუბინაშვილის განმარტებები მოგვყავს მათი ლექსიკონების ელექტრონული გამოცემიდან. ბმული: <http://meskhi.net/words.htm#16>

მის შესასწავლად საჭირო იყო „მრავალჯერ ქმნითა გაადვილება“, „გაზებირება“, „წურთნა“, „დასწავლა“, „ხელოვნობა“. ე. ი. „გავარჯიშებული“ ენოდა „გამშვენებულ“ გალობას მის შემდეგ, რაც ის არსებობს, როგორ მუსიკალურ-სააზროვნო სისტემა და მისი შესწავლა-გადაცემა, მისი პრინციპების ათვისება გახდა საჭირო, თანაც მას შემდეგ, რაც გალობა წმინდად ზეპირ ტრადიციად იქცა. ეს კი XV—XVI საუკუნეების შემდეგ არის სავარაუდებელი. შესაბამისად, ტერმინ „ვარჯიშის“ ისტორიის მიმოხილვა დამატებით არგუმენტად გვევლინება იმის შესახებ, რომ „გამშვენება“ ქართული რენესანსული პერიოდის მოვლენაა.

სიტყვა „მშვენიერი“ სულხან-საბას განმარტებული აქვს, როგორც „ლამაზის“ ერთ-ერთი, „ყოვლით კეთილით“ აღსავსე სახეობა:

„ლამაზი — ესეცა ესრეთ განიყოფებიან, რამეთუ: კეკლუცი არს სახე უკლებელად განყობილი; კეკელა — სილამაზისა და მოხდომის მცდელი; მწყაზარი — სიკეთეზედ მეტი; შვენიერი — ყოვლის კეთილით შეფერებული; სანდომი — კეკლუცი იყოს, თუ დუხჭირი, მაშინც კაცს სანახავად იამოს; სახნიერი — რომელსა ყოველი სახე განყობილ ჰქონდეს და საქმითაც კეთილმოქმედი იყოს; ჰაეროვანი — რომელი ხატკეთილობით მოხდომილ იყოს“ (ორბელიანი, 1991:404).

„შეფერებული“ კი სულხან-საბას თქმით, არის: „ფერების შეწყობა, ფერად-ფერადთ შეწყობა“ (ორბელიანი, 1993:295).

ზემოთქმულიდან, ცხადია, რომ „გამშვენებულ“ გალობაში „ყოვლის კეთილის“, ე. ი. ყოველგვარი სიკარგისა და სილამაზის სხვადასხვა ფერების, მშვენიერების „ფერად-ფერადთა“, ანუ სხვადასხვა სახეთა შეწყობა, მათი მეშვეობით მუსიკალური ენის, აზროვნებისა და ფორმა-შინაარსის მორთვა ხდება.

„ყოვლის კეთილით შეფერებული“ „გამშვენებული“ გალობა, „კეთილობის“ — ე. ი. სილამაზის და მშვენიერების სხვადასხვა ფერთა თუ სახეობათა მრავალნაირი შეწყობის გამოსატყავე მიმართული მუსიკალური ხელოვნებაა. ისტორიულ ცნობებთან ერთად, მუსიკალური აზროვნების ამ ტიპის ზედწოდებაც მიგვიჩვენებს, იმაზე, რომ — „გამშვენებული“ გალობა, რომელშიც აზროვნებისა და ძალისხმევის მთავარი მიზანი მშვენიერების გამოსატყავე, რენესანსული მსოფლმხედველობისა და ეპოქის მოვლენაა.

სულხან-საბასთან სიტყვა „სადა“ იმ გაგებით, როგორადაც მას ჩვენ გალობასთან მიმართებაში გავიაზრებთ, არაა განმარტებული. თუმცა „ლექსიკონი ქართული“-ში განხილულია სიტყვა „სადაგი“: „სადაგი — ძნელსა და ადვილს საშუალი. ესე არს ძნელისა და ადვილის საშუალი“ (ორბელიანი, 1993:24).

საჩინოა ამ სიტყვის კავშირი გალობის სისადავესთან. თუმცა, თუ „სადაგსა“ და „სადა“ გალობას გავაიგივებთ, გამოდის, რომ „სადა კილოზე“ მარტივი გალობაც უნდა არსებულიყო. სავარაუდოა, რომ ასეთად ფ. ქორიძის მიერ აღწერილი, კვინტურ

და ოქტავურ პარალელიზმზე აგებული „სასწავლებელი ხმები“ გვეკვლინებოდა (ქორიძე, 1896).

წმიდა ექვთიმე აღმსარებელი (კერესელიძე) „შთასახედში“ მარტივი, არა-„გამშვენებული“, „გაუარდიშებელი“, „სადა“, „ნამდვილი კილოს“ და რთული, „გამშვენებული“ საგალობლების შესახებ მსჯელობისას, ძირითადად ტრადიციული ჰანგზე საუბრობს (კერესელიძე, Q674:189). დიდი მოღვაწე ამ ორი პლასტს განასხვავებს მათში ამა თუ იმ ჰიმნის ჩვეული, ტრადიციულად დაკანონებული ინტონაციის გადმოცემის თვალსაზრისით.

წმიდა მამა ამბობს, რომ „ყველა საგალობელს ბუნებითი კილო [ჰანგი]³ აქვს და ეს კილო მისი საკუთარი ბუნებითი“ და „წესიერი“ „გზა“ არის, რომ ეს „ნამდვილი“, „მარტივი“, „სადა“ „კილო“⁴ ანუ ტრადიციული ჰანგი არის „საფუძველი გალობისა“, რომ მხოლოდ მის მცოდნესთვის არის ცხადი „ყველა მუხლების ხმის [მუხლების მელოდიათა] მიმოხვრანი, თუ როგორი და რა ნაირია“. აქვე ნათქვამია, რომ „კილოს ხმის“ [ტრადიციული, არქეტიპული ჰანგის] „ძარღვზედ ყველა ხმის [უკვე — შეწყობილ II—III ხმათა] მიმოხვრანი დამოკიდებულ არიან“.

„გამშვენებული“ გალობის შესახებ მამა ექვთიმეს მსჯელობიდან ცხადი ხდება, რომ ამ ცნების ქვეშ, უპირველესად, იგულისხმება ტრადიციული ჰანგის „უფრო უმშვენირესად“ წარმოჩენა, ანუ ტრადიციული ჰანგის ზოგიერთი სეგმენტის ჩანაცვლება იმპროვიზაციული (როგორც სანოტო ჩანანერებიდან ჩანს, ხშირ შემთხვევაში „გამშვენების“ არქეტიპულ დედანთან შედარებით ინტონაციურ-რიტმულად უფრო გამძაფრებული, გართულებული) მელოდიური ნაგებობებით. მგალობელი „თავის სმენისა და ნიჭისამებრ შიგა და შიგ ზოგიერთ კილოს მუხლებიდგან [„დედანი“ ჰანგის ზოგიერთი მუხლიდან] ხმით გადავა შესაფერად გალობისა და თავის ნიჭისამებრ შიგა და შიგ გაამშვენებს, გაავარდიშებს (sic.) და შემდეგ შიგა და შიგ კილოსსავე [„დედანი“ მელოდიის] კვალს დაადგება, ამგვარად ყოველ ნიჭიერ კაცს კილოს მიხედვით [„დედანი“, არქეტიპულ ჰანგზე დაყრდნობით] სხვადასხვა ნაირად შეუძლია გაამშვენოს და გაავარდიშოს“. მამა ექვთიმე ამბობს, რომ აუცილებელია „ნამდვილი კილოს“ [„დედანის“, cantus firmus-ის] ზედმინევნით ცოდნა, რომ „მივხვდეთ“, თუ „სად რა ნაირი ვარდიში და ხმის ტრიალი გაენყოფა“, რომ არ

³ ქართული გალობისათვის მსოფლიოს შუა საუკუნეთა პროფესიული ან ტრადიციული მუსიკალური ხელოვნებისათვის დამახასიათებელი თავისებურებებიდან ტერმინთა პოლისემანტიკურობაც არის ნიშანდობლივი. ამ მხრივ განსაკუთრებული „ბედი“ აქვს ტერმინ „კილო“-ს. რომელიც წარსულშიც და ახლაც მეტად მრავალგვარი მნიშვნელობით იმოსებოდა. „შთასახედში“ ტერმინი „კილო“ ტრადიციულ ჰანგს, მელოდიას, საგალობლის — როგორც ვერბალურ-მუსიკალური სინთეზური მოვლენისათვის „ბუნებით“ ანუ მის საკუთარ, ტრადიციულ ინტონაციას აღნიშნავს. ძალიან ხშირად ხელნაწერებში საგალობელს მიწერილი აქვს „კილო“. ეს ნიშნავს რომ ეს ვარიანტი არის ამ საგალობლის ჰანგის, მისი ტრადიციული ინტონაციის მარტივი, „სადა“ ფაქტურული კონფიგურაციით „ნამდვილი“, ქემპარიტი გადმოცემა.

⁴ ეს ტერმინები თავისთავად აღძრავს ასოციაციებს შუა საუკუნეთა დასავლეთ ევროპის საეკლესიო მუსიკასთან - „ნამდვილი“ ჰანგი და cantus firmus, „სადა“ კილო - plane chanting, plane singing.

შეიძლება „გამშვენება და გავარდიშება მთელი საგალობლისა“, რადგან ამ დროს ის იქნება „უსაფუძვლო და უვარგისი“, რადგანაც ის „გადავარდება თავის წესიერის გზიდგან“ და „დაიკარგება“ საგალობლის „ბუნებითი“, ტრადიციული, ჩვეული, „კანონიერი“ ჰანგი. წმიდა ექვთიმე აღნიშნავს, რომ „კილოს საგალობლის“ ჰანგი უცვლელია — მას „თავისი ბუნებითი გზა აქვს თავიდგან ბოლომდის“, ხოლო „გამშვენება“ კი იმპროვიზაციული თავისუფლებით არის აღბეჭდილი — „გამშვენებას კი ერთსა და იგივე მუხლში სხვადასხვანაირად ავარდიშებენ“. როგორც „შთასახედი“-დანაც ჩანს, ამ საშემსრულებლო-ქმნადობის მეთოდის გამოყენებისას დასაშვებია ახალ-ახალი ინტონაციური მასალით გამდიდრება საგალობლისა და „სწორედ ამის გამო“ — ამბობს წმიდა მოღვაწე, — „გამშვენებას ერთი ნიადაგი არა აქვს“. მამა ექვთიმე აღნიშნავს, რომ ჰანგის ცალკეულ მონაკვეთთა ორივე - „ნამდვილი კილოს“ და „გავარჯიშებული“/„გამშვენებული“ ვარიანტები ჩანერილია ნოტებში - ზემო და ქვემო შტილებიანი ნოტებით.

„შთასახედის“ მსგავსი სულისკვეთებით გამოირჩევა დიდი მგალობლისა და მოღვაწის, დეკანოზ რაუდენ ხუნდაძის მსჯელობაც „სადა კილოს“ [მარტივი სტილისა და „დედანი“ ჰანგის] შესახებ (ხუნდაძე, 1911:V-VI): „...ვისაც პირველათ სადა კილოზე არ უსწავლია გალობა, ის ყოველთვის დაშორებულია გალობის ბუნებრივ სინამდვილეზე და ვერც შეატყობს თვითონ სწორეთ გალობს, კილოს შეთანხმებით თუ არა. ვისაც პირველათ სადა კილოზე უსწავლია გალობა, მას ყოველთვის ახსოვს ნამდვილი მოტივი, კილო, უცვლელათ და თუ ავარჯიშებს, კილოს შეთანხმებით აწარმოებს ხმის ტრიალსა და სასიამოვნო მიმოხვრას. ამგვარათ, კილო (სადათ თქმა) არის საფუძველი გალობისა და გავარჯიშება იმის შედეგია. სასწავლებლებში გალობის მასწავლებლობამ უტყუარათ დამარწმუნა, რომ გამშვენებული და ხმის ტრიალით გალობის სწავლება და გავრცელება ყოველად მოუხერხებელია“.

ფაქტობრივად, იმავეს ამბობს მეცნიერი და მღვდელი მელიტონ კელენჯერიძეც: „ბატონ ქორიძისაგან გადაღებულია არა სადა კილო...“, არამედ „...გალობა განვითარებული, გრძელი და შესათვისებლად არა ადვილი... როდესაც გალობის შეურყვნელად დაცვაზეა საუბარი, სახეში აქვსთ ყოველთვის იმისი დედანი, თუ შეიძლება ითქვას, ესე იგი კილო, სადა ხმა, რომელიც ედება სარჩულად ყოველს შემდეგ მუშაობას ამ საგანში... უმთავრესი ყურადღება უნდა მიექცეს ყოველს შემთხვევაში გალობის ძველს, პირვანდელს მარტივ კილოს, რომელზედაც შენდება ყოველ შემდეგი ნაწარმოები, და თუ პირველი დაიკარგა, მეორე ველარაფერს გვეტყვის მასზე“ (შუღლიაშვილი, 1991:140).

რალა თქმა უნდა, „პირვანდელი კილოს“, ანუ ტრადიციული ჰანგის მიმართ ასეთი დამოკიდებულება და მისი „დაკარგვის“ შიში უმთავრესად ნოტაციის არ-არსებობის, მუსიკის ზუსტად ფიქსირების საშუალებების არ-ქონის „ბრალია“. ასეთ ვითარებაში

ხომ ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემა და სასიცოცხლოდ აუცილებელი იყო ტრადიციული ჰანგის და, ზოგადად, მუსიკალური ენისა და მისი ელემენტების ტიპურ გამოვლინებათა შენახვა და თაობიდან თაობაზე გადაცემა. იქ, სადაც მუსიკა ზეპირად ინახება, ვრცელდება, ვითარდება და მომავალ თაობას გადაეცემა (ნევმური, ჭრელების და ზოგადად, მნემონური სისტემები ამ პრობლემის არსს ვერ სცვლიდა), ჰანგის, ინტონაციის, ანუ „კილოს დაკარგვა იგივე გალობის დაკარგვა არის“. სწორედ ამიტომ, ასეთ ვითარებაში, „კილო“/*cantus firmus*-ი მხოლოდ „შიგადაშიგ“ უნდა „გამშვენდეს“ და შეიცვალოს, რომ სხვა ადამიანები და, განსაკუთრებით, მომავალი თაობები „მიხვდნენ“, „თუ რანაირია“ ამა თუ იმ ჰიმნის „ჭეშმარიტი“, არქეტიპული მუსიკალური სახე-მოდელი, ანუ — „პირვანდელი“, „ბუნებითი“, „კანონიერი“, „ნამდვილი“ „კილო“/*ჰანგი*.

სხვათა შორის, იგივე ვითარება იყო დასავლეთ ევროპის საეკლესიო მუსიკაშიც ნოტაციის ჩამოყალიბება-განვითარებამდე. ნოტაციის შემოღების შემდეგ კი შესაძლებელი გახდა *cantus firmus*-ის მანამდე შეუძლებელი მოდიფიცირება, ტრანსფორმაცია-დამუშავება, მრავალხმიანობაში მისი სხვადასხვა სახით გამოყენება, მისი ახალ-ახალი პოლიფონიური ხერხებით სახეცვლა და წარმოჩენა, მასზე დაყრდნობით ორიგინალური და ნოვატორული ინტონაციების, ჰარმონიის, ფაქტურისა და ფორმების მქონე განსხვავებული, მრავალრიცხოვანი ნაწარმოებების შექმნა და შედეგად — მუსიკალური ენისა და აზროვნების, მუსიკალური სტილების განახლება-განვითარება და გამრავალფეროვნება — ორგანუმიდან და არს ანტიქუე-დან ბაროკომდე.

ჩვენ შორს ვართ შუა საუკუნეთა მუსიკალური აზროვნებისათვის დამახასიათებელი ზეპირი გადაცემის ცალსახა, ერთმნიშვნელოვანი შეფასებისაგან. მაგრამ, შეგვიძლია ვივარაუდოთ, თუ რა განვითარებას, რა სახეს, პოლიფონიური და ჰარმონიული აზროვნების კიდეც რა მწვერვალებს მიაღწევდა ქართული მუსიკა ზუსტად ფიქსირების საშუალებების (თუნდაც ორიგინალური ნოტაციის) არსებობის შემთხვევაში; მაშინ როდესაც მან ფორმის და მრავალხმიანობის ასეთ მაღალგანვითარებულობას და მრავალფეროვნებას მიაღწია ზეპირი ტრადიციის პირობებში — როდესაც მუსიკოსთა ძალისხმევით უზარმაზარი, თითქმის ძირითადი ნაწილი მიმართული იყო მუსიკის „დამახსოვრების“, ფიქსირების და მომავალ თაობებზე შეურყვნელი გადაცემისაკენ. უხეშად რომ ვთქვათ, თუკი ახლა გვაქვს თითოეული დასახელების საგალობლის ან სიმღერის უაღრესად ღირებული და მაღალგანვითარებული 5-6 ვარიანტი, მუსიკის ფიქსირება-შენახვის ზუსტი საშუალებების ქონისას ჩვენი გენიოსი წინაპრებისაგან კიდეც უფრო მეტი უნიკალური და განსხვავებული ნიმუში შემოგვენახებოდა.⁵ ვინაიდან

⁵ „მიუხედავად ერთად მღერის ტრადიციის მეტ-ნაკლები შენარჩუნებისა, ქართული ხალხური მუსიკის დღევანდელი მრავალფეროვნება მხოლოდ „ნაშთია ძველი დიდებისა“. ვაცნობიერებთ რა, თუ რამდენი

მათ უფრო მეტი „საშუალება“ ექნებოდათ ტრადიციული ჰანგების თუ მრავალხმიანი მოდულების ერთი მხრივ, შენახვისა და გადაცემისათვის, ხოლო მეორე მხრივ — მათი იმპროვიზირებისათვის, ინტონაციური გადასხვაფერება-ტრანსფორმირებისათვის, „გადანტონირებისათვის“, „ინტონაციური გარდასახვის“ (ი. ზემცოვსკი), პოლიფონიური გარდაქმნისა და მხატვრული დამუშავებისათვის.⁶ მსგავსად ევროპელი მუსიკოსებისა, რომლებსაც, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მუსიკის მეტ-ნაკლებად ზუსტად ფიქსირების საშუალებებმა უდიდესი სამსახური გაუწიეს მუსიკალური მასალის გარდაქმნა-დამუშავების და მუსიკალური ენისა და აზროვნების განვითარების პროცესში.

როგორც დავინახეთ, „სადა კილოს“ ან „გამშვენების“ შესახებ საუბრისას „შთასახედში“ მხოლოდ „ბუნებითი“, ტრადიციული ჰანგების დაცვა-შენახვასა და გარდაქმნა-„გავარჯიშებაზე“ საუბარი. ხოლო ამ ორი პლასტის მრავალხმიანობაში გამოვლენის თავისებურებების შესახებ აქ თითქმის არაფერია ნათქვამი. თუმცა, გალობის სანოტო ჩანაწერების ანალიზის შედეგად და სამგალობლო კრებულებში არსებული და განსაკუთრებით ფ. ქორიძის (ქორიძე:1896) ცნობებიდან ცხადია, რომ საგალობლის „გამშვენება“ წარმოადგენს, ერთის მხრივ ტრადიციული, არქეტიპული ჰანგის ინტონაციურ-სტრუქტურულ გადასხვაფერებას („შიგა და შიგ გავარდიშება/გამშვენება“), და ამასთან ერთად — „გამშვენებული“ ჰიმნის „დედნისათვის“ ანუ მარტივი ორიგინალისათვის ნიშანდობლივი ფაქტურის განსხვავებულ, სხვადასხვა ინტენსიურობით პოლიფონიზებულ ტრანსფიგურაციას. ამას ჩანაწერებში (განსაკუთრებით კარბელაშვილებთან) არცთუ იშვიათად ჰიმნში კილოური მრავალფეროვნების შემოტანაც ემატება. ყოველი „გამშვენებული“ ჰიმნი რომელიღაცა „სადა დედნის“, განსხვავებული, გართულებული ვარიანტია.

„გამშვენება“ აზროვნება-ქმნადობის განსაკუთრებული მდგომარეობაა, რომელიც ეფუძნება განსაზღვრულ ესთეტიკურ პრინციპებს და თავად წარმოადგენს მუსიკალურ-ესთეტიკურ იდეა-პრინციპს. „გამშვენება“ სანოტო წყაროებში ჩანს როგორც პროცესი

„თეთრი ლაქა“ ქართული ტრადიციული მუსიკის დღევანდელ „რუკაზე“, ნათელი ხდება, რომ ჩვენამდე მოღწეული სიმღერები და საგალობლები მხოლოდ ისტორიული ბედუკულმართობის „წარღვნას“ გადარჩენილი „კუნძულებია“ იმ ერთიანი „კონტინენტისა“, რომელსაც ქართული ტრადიციული ყოფა ჰქვია“ (გაბისონია, 2009:4).

⁶ თ. გაბისონია აღნიშნავს (გაბისონია, 2009:35), რომ ტრადიციულ შემსრულებლობაში ტრადიციული, „შემოქმედებითი“ „მოდელის პროგნოზის ხარისხი პროპორციულია კონტრასტის მოთხოვნისა როგორც შემსრულებლის, ასევე მსმენელის მხრიდან. რაც უფრო მოსალოდნელია რაიმე მოვლენა, მით უფრო ნაკლებ დროს მოითხოვს მისი გამოჩენისას მასზე ყურადღების ადაპტაცია. შესაბამისად, რაც უფრო მკაფიოაა აღბეჭდილი მოდელი-დედანი შემსრულებლის ლექსიკაში, მით უფრო ნაკლები შემოქმედებითი ძალისხმევაა საჭირო მისი განხორციელებისათვის. და თუ შემსრულებელი „შემოქმედებითადაა განწყობილი“, იზადება ახალი მოდელი. ასევეა მრავალხმიანობაშიც: რაც უფრო ზუსტადაა მრავალხმიანი მოდელი შემსრულებელთათვის გათავისებული, მით უფრო ნაკლებ ძალისხმევას ითხოვს ხმათა კოორდინაცია. ამის შედეგად ხმებს ეძლევათ შესაძლებლობა მოდელის თამამად განახლებისა. ჩვენი აზრით, სწორედ ამგვარად უნდა წარმოვიდგინოთ პარალელური ხმათასვლის კონტრასტულში გადაზრდის ძირითადი გზა“.

და ამავე დროს, როგორც უკვე ჩამოყალიბებული კომპლექსი მუსიკალურ-გამომსახველობითი საშუალებებისა, რომელნიც ურთიერთმიმართულნი არიან განსაზღვრული სემანტიკით, ტრადიციული კონტექსტურობით. ამასთან, სხვადასხვა ქართულ სამგალობლო ტრადიციაში „გამშვენება“ ხასიათდება ხმათა განსხვავებული „ქცევა“-დამოკიდებულებითა და ორიგინალური ფაქტურული აზროვნებით.

ფილიმონ ქორიძე, „კილო“ და „გამშვენებულ“ გალობასთან ერთად აღწერს ხმათა კვინტურ-ოქტავურ პარალელიზმზე დაფუძნებულ „სასწავლებელ ხმებსაც“, რომელიც გალობის სწავლების უპირველეს ეტაპზე გამოიყენებოდა (ქორიძე, 1896).⁷დ. შულღიაშვილი (შულღიაშვილი, 2009:28-39), ეყრდნობა-რა ფ. ქორიძისა და ე. კერესელიძის ცნობებს საგალობლებში ფაქტურის კონფიგურირების სამი პრინციპის (და ამ პრინციპების პედაგოგიურ პრაქტიკაში გამოყენების) შესახებ, ვარაუდობს ქართული სამგალობლო პოლიფონიის განვითარების სამ ისტორიულ ეტაპს — ქორიძისეული „სასწავლებელი ხმების“ მსგავსად კვინტურ-ოქტავური პარალელიზმით აგებულს [ყველაზე არქაული და ჩვენამდე თითქმის არ მოღწეული ფაქტურული ტიპი], „სადა“ (ან „ნამდვილი“) „კილოს“/სტილის პოლიფონიურ მოდელზე აგებულს და „გამშვენებულ გალობას“.

იმ გარემოებასთან ერთად, რომ „სადა“ საგალობლები არის „დედნები“, მოდელები „გამშვენებული“ ჰიმნებისათვის, ერთი და იგივე დასახელებისა და მონათესავე ჰანგების მქონე „სადა“ ნიმუშების ანალიზი ადასტურებს, რომ თავად ისინიც რომელიღაცა მოდელის სხვადასხვანაირ განხორციელებას, არქეტიპული ინვარიანტის სხვადასხვა ვარიანტებს წარმოადგენენ. პრაქტიკულად, თითოეული საგალობლის ინვარიანტული მოდელ-იდების საფუძველზე რამდენიმე მაღალ-ღირებული „სადა“ და „გამშვენებული“ ვარიანტია შექმნილი.

როგორც მრავალგზის აღინიშნა, ეს გარემოება ქართული გალობის ქმნადობის პარადიგმაა — ტრადიციული მუსიკალური ხელოვნების სააზროვნო კანონზომიერებათა შესაბამისად, თითოეული საგალობელი წარმოადგენს ტრადიციული ჰანგის, თავისებური ინვარიანტის, ერთხმიანი ან მრავალხმიანი არქეტიპული მოდელის უნიკალურ მრავალხმიან განხორციელებას, რის დასტურსაც წარმოადგენს წინამდებარე გამოცემაც.

სვიმონ (ჯიქი) ჯანგულაშვილი

⁷ „ხმათა წყობილება, რომელსაც ჰქვია პარალელური კვინტა და ოქტავა, თუმცა ადვილი დასამახსოვრებელია, მაგრამ მოსასმენად არ არის სასიამოვნო, რადგან ხმები დამოკიდებულია ერთი მეორეზე და არც გალობდენ ამნაირ ხმათა წყობილებით კარგი და დახელოვნებული მგალობლები. მხოლოდ ეს იყო ძირი პირველდასაწყისი გალობის სწავლისა“ (ქორიძე, 1896).

XVIII—XXI ტომებში გამოყენებული და დამონმებული ლიტერატურა და სანოტო კრებულები

1. გაბისონია, თამაზ. (2009). *ქართული ტრადიციული მრავალხმიანობის ფორმები*. სადოქტორო დისერტაცია. თბილისი: ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორია.

2. ზატიკი. მოსკოვი, 1738 წელი;

3. კიკნაძე, გულნაზ (შემდგ.). (1982). *ნევმირებული ძლისპირნი: ხელნაწერი A-603*. გამოსცა, გამოკვლევა და საძიებლები დაურთო გ. კიკნაძემ. თბილისი: მეცნიერება;

4. „მარხვანი“, *ტრიოდონი, რომელ არს სამ-საგალობელი*. სტამბა ექვთიმე ხელაძისა, ქ. ტფილისი: 1901 წელი;

5. ორბელიანი, სულხან-საბა. (1991). *ლექსიკონი ქართული ტომი I*, თბილისი: მერანი;

6. ორბელიანი, სულხან-საბა. (1993). *ლექსიკონი ქართული ტ. II*, თბილისი: მერანი;

7. *პარაკლიტონი, წიგნი პარაკლიტოს*. მოსკოვი, სინოდის სტამბა. 1822 წელი (საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ვებ-გვერდიდან);

8. *ჟამნი*. გამომცემლობა „ალილო“, თბილისი: 2012 წელი;

9. *სადღესასწაულო*. მოსკოვი, სინოდის სტამბა. 1865 წელი (საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ვებ-გვერდიდან);

10. *ტრიოდონი ზატიკი*. მოსკოვი, სინოდის სტამბა. 1850 წელი (საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ვებ-გვერდიდან);

11. ქორიძე, ფილიმონ. (1895). *ქართული გალობა: ლიტურგია იოანნე ოქროპირისა // მღვდლისა და მღვდელთმთავრისათვის // გადაღებული ფილიმონ ი. ქორიძის მიერ; გადმოცემული: ანტონ ნ. დუმბაძისა, დიმიტრი რ. ჭალაგანიძისა, მთავარ-დიაკონის რაჟდენ თ. ხუნდაძის და ივლიანე ი. წერეთლისაგან. რამდენიმე საგალობელი გადმოცემულია მელქისედექ გ. ნაკაშიძისა და მღ. ნესტორ ე. კონტრიძისაგან. პარტიტურა №1* // ტფილისი: მაქსიმე შარაძის გამოცემა და სტ., 1895;

12. ქორიძე, ფილიმონ. (1896). *ქართული გალობის მდგომარეობა*. ჟურნ. მწყემსი №9, №10;

13. ქორიძე, ფილიმონ. (1899). *მიცვალებულთა საგალობელი // პარტიტურა №3 // ქუთაისის ეპარქიის სამღვდლოების ხარჯით, გადაღებული ფილიმონ იესეს ძის ქორიძის მიერ; გადმოცემული: დიმიტრი რ. ჭალაგანიძისა, მთავარ-დიაკონის რაჟდენ თ. ხუნდაძისა და ივლიანე წერეთლისაგან* // ტფილისი: გამოცემა მ. შარაძისა, ე. კერესელიძისა, ს. ლოსაბერიძისა და ვ. გძელიძისა, 1899;

14. ქორიძე, ფილიმონ. (1901). *საგალობელნი პირველ შეწირულისა, ვასილი დიდისა, მღვდლის კურთხევისა და ქორწინებისა // პარტიტურა №2* // ქუთაისის

ეპარქიის სამღვდლოების ხარჯით გადაღებული ფილიმონ იესეს ძის ქორიძის მიერ; გამომცემელი: დიმიტრი რ. ჭალაგანიძისა, მთავარ-დიაკონის რაჟდენ თ. ხუნდაძისა და ივლიანე წერეთლისაგან; სარჩევში რომელ საგალობელსაც ვარსკვლავი უზის, გურიაშია დაწერილი და გამომცემელია ანტონ ნ. დუმბაძისაგან // ტფილისი: გამოცემა მ. შარაძისა და ამხ. (ე. კერესელიძისა, ს. ლოსაბერიძისა და ე. გრძელიძისა), 1901;

15. ქორიძე, ფილიმონ. (1904). აღდგომის საგალობელი // პარტიტურა №4 // იმერეთის ეპარქიის სამღვდლოების ხარჯით აღდგომის ფილიმონ იესეს ძის ქორიძის მიერ; გამომცემელი: დიმიტრი რ. ჭალაგანიძისა, მთავარ-დიაკონის რაჟდენ თ. ხუნდაძისა და მღვ. ივ. წერეთლისაგან // გამოცემა მ. შარაძისა, ე. კერესელიძისა, ს. ლოსაბერიძისა და გარდაც. ვ. გძელიძისა — ტფილისი, 1904;

16. ქორიძე, ფილიმონ. (1908). ვალობა: სადღესასწაულო განიცადებები // ტფილისი: მსწრაფლმბეჭდავი სტამბა „ძმობისა“, 1908;

